ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა ქედა

N 466
10/06/2016

466-03-4-201606101219

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ქვედა მახუნცეთი, მე-5 ქუჩა I-ჩიხი №1-ში მდებარე 9024,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ21.01.37.327), 45 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისსასყიდლიანი იჯარის უფლებით სარგებლობაში განკარგვაზე პირობიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითთმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის და 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“, ,,ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორების წესების, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმების, ნასყიდობის, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №19 დადგენილებისა და ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გადასაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 ივნისის №46 განკარგულების საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ქვედა მახუნცეთი, მე-5 ქუჩა I- ჩიხი №1-ში მდებარე 9024,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ21.01.37.327), 45 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი იჯარის უფლებით, 6 (ექვსი) თვის ვადით, სარგებლობაში გადაცემაზე გამოცხადდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონი.

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ქვედა მახუნცეთი, მე-5 ქუჩა I- ჩიხი №1-ში მდებარე 9024,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ21.01.37.327), 45 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი იჯარის უფლებით 6 (ექვსი) თვით სარგებლობაში გადაცემაზე პირობიანი

ელექტრონული აუქციონზე გამოტანილი მიწის ნაკვეთის საწყის წლიურ საიჯარო საზღაურად დაწესდეს 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარი.

3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/"ბე" განისაზღვროს 135 (ას ოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით.

4. აუქციონის მონაწილის მიერ ერთი განცხადების შეთავაზების ოდენობად (ერთი ბიჯი) დაწესდეს არანაკლებ 22 (ოცდაორი) ლარი. ფასის თაობაზე შემოთავაზებული საბოლოო თანხა (ბიჯი), რომლითაც გამოვლინდა გამარჯვებული, ემატება საწყის წლიურ აღნაგობის საზღაურს და მათი ჯამი წარმოადგენს საბოლოო წლიურ აღნაგობის საზღაურს.

5. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო: აუქციონი იწყება 2016 წლის 10 ივნისს 17:00 საათზე და სრულდება 2016 წლის 16 ივნისს 17:00 სათზე.

6. აუქციონში გამარჯვების პირობაა მაღალი ფასის შემოთავაზება.

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია სრულად შეასრულოს სააუქციონო პირობები.

8. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ:

8.1. მიწის ნაკვეთის მისამართი: **სოფელ ქვედა მახუნცეთი, მე-5 ქუჩა I- ჩიხი №1**

8.2. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: **21.01.37.327**

8.3. მიწისნაკვეთისდანიშნულება: **არასასოფლო-სამეურნეო**

8.4. მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი:**პირობიანი ელექტრონული აუქციონი;**

8.5. მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა:**სარგებლობა**;

8.6. მიწის ნაკვეთის სარგებლობის ფორმა:**სასყიდლიანი იჯარა;**

8.7. მიწის ნაკვეთის ფართობი:**45 კვ. მეტრი;**

8.8. მიწის ნაკვეთის მდგომარეობა:**უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო.**

9. აუქციონის პირობებად განისაზღვროს:

9.1.აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია იჯარის უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკუთარი ხარჯებით და საშუალებებით განათავსოს მოქმედი სტანდარტებისა და ხარისხის შესაბამისი თანამედროვე იერსახის (დიზაინის) - ტიპის საზოგადოებრივი კვების (სწრაფი კვების) მოძრავი ობიექტი.

9.2.აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

9.3. მუნიციპალიტეტის გამგეობასთან შეთანხმებით მიმდებარე ტერიტორიის (გადაცემული ფართის) კეთილმოწყობა.

9.4. მოიჯარე პირის მიერ იჯარის უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთისათვის მეიჯარისათვის საიჯარო ქირის გადახდა განხორციელდეს შემდეგი პირობებით:

9.4.1. მოიჯარე საიჯარო ქირას იხდის ყოველ თვიურად სახელშეკრულებო თვის დასაწყისში პირველ თვეში.

9.4.2.პირველი სახელშეკრულებო თვე არის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან მომდევნო თვის შესაბამის რიცხვამდე არსებული დრო, ხოლო ყოველი შემდეგი სახელშეკრულებო თვე არის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან შესაბამის რიცხვამდე არსებული დრო.

9.5.საიჯარო ქირის გადახდა მოიჯარე პირს არ ათავისუფლებს მიწით სარგებლობისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადისა და საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სხვა გადასახდელებისაგან.

9.6. იჯარის უფლების თაობაზე დადებული ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მიუხედავად ხელშეკრულების შეწყვეტის დროისა, მოიჯარე სრულად იხდის საიჯარო ქირას.

9.7. მოიჯარე პირის მიერ აუქციონში მონაწილეობისთვის გადახდილი „ბე" ჩაითვლება იჯარის უფლების ვადის დასასრულს გადასახდელ საიჯარო ქირაში.

10. სხვა სააუქციონო პირობებად განისაზღვროს:

10.1. იჯარის უფლება არ დატვირთოს სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა პირთა სასარგებლოდ იმდაგვარად, რითაც შეუძლებელი გახდება მიწის ნაკვეთის მიზნობრივი გამოყენება ან/და ქედის მუნიციპალიტეტის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულება;

10.2. მოიჯარე პირმა საკუთარი საშუალებებითა და ხარჯებით უნდა უზრუნველყოს იჯარის უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთზე განთავსებული ობიექტების ცენტრალურ კომუნიკაციებთან მიერთება, კომუნალური და დასუფთავების მოსაკრებლების გადახდა.

11. დამტკიცდეს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ქონებების პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, თანახმად დანართისა.

12. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით.

13. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურს (ვ. ბერიძე) უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე www.eauction.ge.

14. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურს (ბ. სურმანიძე)წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე www.keda.ge.

15. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს გ. ბერიძეს.

16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან 3 (სამი) წლის ვადაში.

17. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით დუმბაძე

გამგებელი

ხელმძღვანელობა